ხელშეკრულება № 42

ქ.ზუგდიდი "26 " „ აპრილი" 2012წ.

შ.პ.ს. „ზუგდიდექსპერტიზა" მისი დირექტორის ზურაბ ბერულავას სახით შემდგომში „შემსრულებელი" ერთის მხრივ და სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზუგდიდის № 1 საჯარო სკოლა მისი დირექტორის ნინო გოგინავას სახით, შემდგომში მოხსენიებული როგორც „დამკვეთი" მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1 ხელშეკრულების საგანი და შესრულების ვადები.

"დამკვეთი" ავალებს , ხოლო შემსრულებელი კისრულობს ჩაატაროს შემდეგი სახის საექსპერტო სამუშაოები: № 1 საჯარო სკოლის წყალშემკრები ღარების, წყალსაწრეტი მილების, საქვაბის სახურავის და დარბაზის ინდაოს სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება: 2012 წლის 26 აპრილიდან 2012 წლის 30 აპრილამდე.

2. მხარეთა მოვალეობები და უფლებები.

2.1 „შემსრულებელს" უფლება აქვს ჩააბაროს დასრულებული სამუშაო, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე.

2.2 „შემსრულებელი" ვალდებულია საპროექტო - ტექნიკური დოკუმენტაცია მოამზადოს ოთხ ეგზემპლარად და მომსახურების ვადის ბოლოს, სამი ეგზემპლარი ჩააბაროს „დამკვეთს".

3 მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.

3.1 მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 100 (ასი) ლარის ოდენობით.

3.2 „დამკვეთი" ავანსის სახით გადაუხდის „შემსრულებელს" მომსახურების ღირებულების ------ %-ს ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან _____ დღის ვადაში.

3.3 მომსახურების ღირებულების დაფარვა „დამკვეთმა" უნდა მოახდინოს „შემსრულებელი"-ს მიერ სამუშაოს შესრულებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

4 მხარეთა პასსუხისმგებლობა.

4.1 ნებისმიერ მხარეს შეუძლია წინასწარ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტს.

4.2 „დამკვეთის" მიერ ხელშეკრულების შეჩერების შემთხვევაშიიგი იგი ვალდებულია „შემსრულებელს" აუნაზღაუროს სახელშეკრულებო თანხა შესრულებული სამუშაოს მიხედვით და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

4.3 „დამკვეთის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის იგი „შემსრულებელს" პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის ვადაზეგადაუხდელი თანხის --------- %-ს ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

4.4 „შემსრულებლის“ მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში „შემსრულებელს“ ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და „დამკვეთთან“ დადებული ხელშეკრულების ფარგლებში.

5 ფორს-მაჟორული გარემოებები.

5.1 შეუსრულებლობის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზრაურებისაგან, მხარეები თავისუფლდებიან თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობა გამოწვწულია ფორს-მაჟორული გარემოებით. კერძოდ: ომით, ხანძრით, წყალდიდობით, მიწისძერით ან სხვა სტიქიური უბედურებებით და ოუ ამ გარემოებებმა უშუალოდ გავლენა მოახდინა ხელშეკრულების შესრულებაზე.

ასეთ შემთხვევაში მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადატანა ფორს – მაჟორული გარემოების შეწყვეტამდე. გარემოების ზემოქმედების შესახებ მხარეებმა ერთმანეთს უნდა აცნობონ მათი დადგომიდან 10 დღის განმავლობაში.

6 დავის გადაწყვეტა.

6.1 მხარეებს შორის სადავო საკითხი წყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

7 დამატებითი პირობები.

7.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

7.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

„შემსრულებელი“	„დამკვეთი“
შ.პ.ს. „ზუგდიდექსპერტიზა“ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №93 საიდენტიფიკაციო №220002128	სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზუგდიდის №1 საჯარო სკოლა.
„სს ლიბერთი ბანკის” სამეგრელოს რეგიონალური ფილიალი ბანკის კოდი: LBRTGE22	ს/კ №219985746
ა/ა № GE93LB0113140929712000	
დირექტორი: ბ. ბერულავა /	დირექტორი : ნ. გოგინავა /